



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# კულტურის სტატისტიკა 2020



15.06.2021

[www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.06.2021

### კულტურის სტატისტიკა

2020 წელი


#### თეატრების სტატისტიკური გამოკვლევა

2020 წლის მონაცემებით, საქართველოში 52 პროფესიული თეატრი ფუნქციონირებდა, აქედან, 2 ერთეული იყო ოპერისა და ბალეტის თეატრი, 41 - დრამის, მუსიკალური კომედიისა და მინიატურების თეატრი, 2 - ბავშვთა და მოზარდმეყრებელთა, ხოლო 7 - თოჯინების თეატრი. თეატრების ნახევარზე მეტი (51.9 პროცენტი) თბილისშია, 15.4 პროცენტი - იმერეთში, დანარჩენ რეგიონებში კი ჯამში 32.7 პროცენტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პროფესიული თეატრების განაწილება თეატრის ტიპების მიხედვით, 2020 წელს.

დიაგრამა №1

#### თეატრების განაწილება თეატრის ტიპების მიხედვით, 2020 წელს



2020 წელს ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 80.0 პროცენტით შემცირდა და 975 ერთეული შეადგინა. სპექტაკლების ორ მესამედზე მეტი (67.5 პროცენტი) ქ. თბილისში ჩატარდა.


ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2019-2020 წლებში.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.06.2021

დიაგრამა №2

### ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2019-2020 წლებში (ერთეული)



\* აფხაზეთის ა/რ, გურია, კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი.

2020 წელს მაყურებელთა საერთო რიცხოვნობა, წინა წელთან შედარებით, 79.6 პროცენტით შემცირდა და 125.6 ათასი შეადგინა. საშუალოდ ერთ სპექტაკლზე დასწრების მაჩვენებელი 129 კაციტ განისაზღვრა. მაყურებელთა დასწრების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქ. თბილისში იყო (71.0 პროცენტი), მეორე ადგილზე კი იმერეთია (13.8 პროცენტი).


ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მაყურებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2019-2020 წლებში.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.06.2021

დიაგრამა №3

### მაყურებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2019-2020 წლებში (ათასი კაცი)



\* აფხაზეთის ა/რ, გურია, კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი.



## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.06.2021


### მუზეუმების სტატისტიკური გამოკვლევა

2020 წელს საქართველოში 249 მუზეუმი და მუზეუმ-ნაკრძალი ფუნქციონირებდა, საიდანაც 100 ერთეული - მემორიალურ მუზეუმს წარმოადგენს, 70 ერთეული - ისტორიულს (მხარეთმცოდნეობის), 24 ერთეული - ხელოვნების, 12 ერთეული - მუზეუმ-ნაკრძალს, 2 ერთეული - ლიტერატურულს, ხოლო 41 - სხვა სახის მუზეუმს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების განაწილება ტიპების მიხედვით, 2020 წელს.

დიაგრამა №4

### მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების განაწილება 2020 წელს



2020 წელს ყველაზე მეტი მუზეუმი ქ. თბილისში ფუნქციონირებდა (23.7 პროცენტი). ამ მაჩვენებლით მეორე და მესამე ადგილებზე იმერეთის (14.9 პროცენტი) და კახეთის (14.1 პროცენტი) რეგიონებია.


ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2020 წელს.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.06.2021

დიაგრამა №5

### მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2020 წელს (ერთეული)



2020 წელს მუზეუმებში დამთვალიერებელთა რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 86.2 პროცენტით შემცირდა და 309.9 ათასი კაცი შეადგინა. საშუალოდ ერთ მუზეუმზე 1 245 დამთვალიერებელი მოდის.


ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დამთვალიერებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2019-2020 წლებში.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.06.2021

დიაგრამა №6

### დამთვალეობა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2019-2020 წლებში (ათასი კაცი)



\*გურია, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი.

2020 წელს მუზეუმებში ექსკურსიების რაოდენობა 85.3 პროცენტით შემცირდა და 9 849 ერთეული შეადგინა, ხოლო გამოფენათა რაოდენობა - 59.4 პროცენტით შემცირდა და 436 ერთეულს გაუტოლდა.

#### საკონტაქტო პირი:

ვასილ წაქაძე, ტელ: (+995 32) 236 72 10 (600)

ფაქსი: (+995 32) 236 72 13

E-mail: [vtsakadze@geostat.ge](mailto:vtsakadze@geostat.ge)